შეთანხმება 2024 წლის 7 თებერვლის იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 1 ივნისი, 2025 წ.

ერთი მხრივ, **შპს შვეული (ს/კ: 405316144)** (შემდგომში ერთად - ,,მეიჯარე“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიამ დვალიშვილის (პ/ნ: 01024070497) სახით

მეორე მხრივ **შპს „დეილი”** (ს/კ: 406088638) (შემდგომში - “ყოფილი მოიჯარე”) წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი პირის ლაშა ზურებიანის (პ/ნ: 62013001964) სახით,

მესამე მხრივ, **შპს „ფუდმარტი“** (ს/კ: 404460187) (შემდგომში - „მოიჯარე“) წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი პირის ზურებიანის (პ/ნ: 62013001964) სახით

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

***ვინაიდან,* 2024 წლის 7 თებერვალს** მეიჯარესა და ყოფილ მოიჯარეს შორის გაფორმდა არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ხელშეკრულება (შემდგომში ,,იჯარის ხელშეკრულება“), რომლითაც მეიჯარემ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით დროებით სარგებლობაში გადასცა მოიჯარეს მის.: **ქალაქი თბილისი, შალვა დადიანის ქ უჩა, N 14-ში მდებარე სარდაფი 98 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.18.03.039.007.01.572) ; ქალაქი თბილისი, შალვა დადიანის ქ უჩა, N 14-ში, 1 სართულზე მდებარე 228.29 კვ.მ. ფართი (საკ. კოდი: 01.18.03.039.007.01.562)** (შემდგომში ერთად - „იჯარის საგანი“)

ვინაიდან, მხარეებს სურთ უცვლელი დატოვონ იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა გარდა წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული პირობისა
ამდენად მხარეები თანხმდებიან შემდეგ ზე:

1. შეთანხმების საგანი

1.1. 2025 წლის 1 ივნისიდან იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარე მხარედ განისაზღვროს - **შპს „ფუდმარტი“** (ს/კ: 404460187), შესაბამისად, 2025 წლის 1 ივნისიდან ახალ მოიჯარეზე ვრცელდება იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა.
1.2. 2025 წლის 1 ივნისიდან იჯარის საგნით სარგებლობის ყოველთვიური საიჯარო ქირის ანაზღაურება მოხდება **შპს „ფუდმარტის“** (ს/კ: 404460187) მხრიდან მეიჯარის საბანკო ანგარიშზე: GE32BG0000000160821675.
1.3. მხარეებს ერთმანეთის მიმართ არ გააჩნიათ არანაირი პრეტენზია.

2. სხვა პირობები

2.1 წინამდებარე **„შეთანხმება”** ძალაში შედის **2025 წლის 1 ივნისიდან;**
2.2 წინამდებარე **„შეთანხმება”** წარმოადგენს **2024 წლის 7 თებერვლის** იჯარის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
2.3 მხარეები ადასტურებენ რომ **„შეთანხმების”** შინაარსი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას;
2.4 ყველა ცვლილება და დამატება **„შეთანხმებაში“** ხდება წერილობით ფორმით;
2.5 **„შეთანხმება“** დადებულია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელიც ინახება მხარეებთან;
2.6. ხელშეკრულების და დამატებითი შეთანხმებებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელი.
2.7. შეთანხმების დასტურად, **მხარეების** უფლებამოსილი წარმომადგენლები ხელს აწერენ წინამდებარე **შეთანხმებას.**

მეიჯარე:

Mariam Dvalishvili

Digitally signed by Mariam Dvalishvili
DN: cn=Mariam Dvalishvili, serialNumber=PNOGE-01024070497, givenName=Mariam, sn=Dvalishvili, o=Citizen, c=GE
Date: 2025.06.23 16:05:36 +04'00'

მოიჯარე:

Lasha Zurebiani

Digitally signed by Lasha Zurebiani
Date: 2025.06.13

ყოფილი მოიჯარე:

Lasha Zurebiani

Digitally signed by Lasha Zurebiani
Date: 2025.06.13